გეომორფოლოგია. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლეული ტერიტორია მოიცავს თბილისის ქვაბულის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ტერიტორიაზე გავრცელებულია იარუსებად განლაგებული ტერასული საფეხურები. რელიეფი ტიპიური აკუმულაციურია, ზედნადები ეროზიული და ანტროპოგენული ფორმებით. პირველი შედარებით სუსტადაა გამოხატული, ხოლო მეორე ფართოდ და მასშტაბურად.

მდ. მტკვრის ხეობის ეს მონაკვეთი, ჭალის ტერასული ზედაპირის პირვანდელი ბუნებრივი იერსახე და მის გარშემო მდებარე ტერიტორია მთლიანად შეცვლილია ანთროპოგენული რელიეფის ფორმებით. აქ ზედაპირი მთლიანად არის ათვისებული.

ნაკვეთი წარმოადგენს მოსწორებულ ზედაპირს 425.60-425.80 აბსოლუტურ ნიშნულებს შორის, სწორხაზოვანი განივი და გასწვრივი პროფილებით. მისი ზედაპირი ერთიანი და დაუნაწევრებელია.

სამშენებლოდ განკუთვნილ მოედნებზე და მათ მიმდებარედ თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების მიერ რელიეფის ფორმების შეცვლა ან ახლების ჩამოყალიბება არ აღინიშნება, უბანი მდგრადია და მდგრადობას შეინარჩუნებს მომავალშიც.

გეოლოგიური აგებულება. ტექტონიკური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მცირე კავკასიონის (ანტიკავკასიონის) ნაოჭა (ნაოჭა შეცოცებითი) სისტემა აჭარა-თრიალეთის (ნაოჭა ანტიკლინორიული) ზონაში. სამხრეთ ქვეზონის ასპინძა თბილისის ბლოკში.– ი.პ. გამყრელიძე “საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დაყოფის სქემა„ 2004წ. ხევძმარის სინკლინური ნაოჭის სამხრეთ ფრთაზე, რომელიც ტრასის გასწვრივ აგებულია შუა ოლიგოცენური ასაკის მაიკოპისებური თიხების და კვარცული ქვიშაქვების მორიგეობით. მათი დახრილობის აზიმუტი ჩრდილო-აღმოსავლეთურია, ხოლო დახრის კუთხე <45^0 მდე. მდ. მტკვრის ხეობის აღნიშნულ მონაკვეთზე ძირითადი ქანების გამოსავლები, უწყვეტად ან განცალკევებული ფანჯრების სახით არ გვხვდება. ტერასირებულ ზედაპირზე ისინი მთლიანად გადაფარულია მეოთხეული ასაკის ალუვიურ-დელუვიური და ანთროპოგენული ნალექებით.

საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური რუკა



შენობების ასაშენებლად გამოყოფილი ტერიტორია

ჰიდროგეოლოგიური პირობები. საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი უბანი შედის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონაში, თბილისის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყალწნევიან სისტემაში.

გამოკვლეულ ტერიტორიებზე, მიწისქვეშა წყლების გამოსავლები ზედაპირზე არ დაფიქსირებულა, მიწისქვეშა წყლები არ შემოსულა არცერთ გამონამუშევარში. გრუნტის წყლები მდებარეობს შედარებით ღრმად. შესაბამისად მიწისქვეშა წყლები რაიმე სახის ხელისშემშლელ პირობას, შენობის მშენებლობისათვის არ წარმოადგენენ.

II. სპეციალური ნაწილი

II.1. თანამედროვე გეოდინამიკური პროცესები

ტერიტორიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საკვლევ უბანზე საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება. უბანი მდგრადია და მშენებლობისთვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება, ხოლო თავისი გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე ს.ნ. და წ. 1.02.07-87 -ის დანართი 10-ის თანახმად, განეკუთვნება **I (მარტივ) კატეგორიას.**

II.2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და კვლევები

შესწავლილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში ფეიქრების ქუჩაზე. ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია ალუვიურ-დელუვიური და ტექნოგენური გრუნტებით. ვერტიკალური ჭრილების შესასწავლად გაყვანილი იქნა 3 (სამი) შურფი, ჯამური სიღრმით 17.90 მეტრი.

ამასთანავე, შურფით გახსნილი გრუნტებიდან აღებული ნიმუშები შესწავლილი იქნა ლაბორატორიულად (ლაბორატორიული კვლევების შედეგები იხილეთ დანართებში).

ჩატარებული საველე საინჟინრო-გეოლოგიური და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გამოყოფილია ორი ფენა:

1. **ფენა N1** - 0.0-0.90, ფარგლებში მთლიან ნაკვეთზე გავრცელებულია ტექნოგენური ფენა **(tQIV)**.

2. **ფენა N2** - პირველი ფენის ქვეშ მთლიან ნაკვეთზე ჩვენს მიერ გამოკვლეულ 6.00 მეტრამდე გავრცელებულია მოყვითალო-ყავისფერი თიხნარი, ნახევრად მყარი **(dQIV).**

II.3. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

საამშენებლო ობიექტის ფარგლებში გამოიყოფა მხოლოდ ერთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი:

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია გრუნტის ძირითადი ფიზიკური-მექანიკური საანგარიშო მახასიათებლები.

სგე I (ფენაN2). – მოყვითალო-ყავისფერი თიხნარი, ნახევრად მყარი (dQIV).

N2	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზომილ. ერთეული	რიცხვითი მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ³	1.83
2	ჩონჩხის სიმკვრივე	ρ_d	-“-	1.46
3	მყარი ნაწილაკების სიმკვრივე	ρ_s	-“-	2.7
4	ფორიანობა	n	%	45.8
5	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0.844
6	ტენიანობა	w	%	25.0
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	w_L	ერთ. ნაწ.	35.6
8	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	w_p	-“-	22.7
9	პლასტიკურობის რიცხვი	J_p	-“-	12.9
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	-“-	0.18
11	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	22
12	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კპა	23
13	დეფორმაციის მოდული	E_0	მპა	15
14	საანგარიშო წინაღობა	R_0	კპა	2.2.1
15	პუასონის კოეფიციენტი	μ	-	0.38

II.4. დასკვნები და რეკომენდაციები.

1. ტექტონიკური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემა აჭარა-თრიალეთის ზონაში.

2. საკვლევი ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია დელუვიური ნალექებით, რომლებიც გადაფარულია ტექნოგენური გრუნტებით.

3. სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება და არც მომავალშია მოსალოდნელი. მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი მდგრადია და **მშენებლობისთვის იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში;**

4. საკვლევი ტერიტორია საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის თბილისის ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტულ წყალდაწნევით სისტემას. **ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა მიწისქვეშა წყლები, შესაბამისად გრუნტის წყლები რაიმე სახის ხელისშემშლელ პირობას, შენობების მშენებლობისათვის არ წარმოადგენენ.**

5. სამშენებლო მოედნის შეფასებისას ს.ნ და წ 02.07-87, მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სამშენებლო უბანი მიეკუთვნება **I (მარტივ) კატეგორიას.**

6. საკვლევ უბანზე გამოყოფილია ერთი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი:

სგე I (ფენაN2). – მოყვითალო-ყავისფერი თიხნარი, ნახევრად მყარი (dQIV).

7. შენობის ფუძე საძირკვლების გაანგარიშებისთვის მიღებული უნდა იქნას საფუძვლის ამგები გრუნტების შემდეგი მახასიათებლები:

N2	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზომილ. ერთეული	რიცხვითი მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ³	1.83
2	ჩონჩხის სიმკვრივე	ρ_d	-“-	1.46
3	მყარი ნაწილაკების სიმკვრივე	ρ_s	-“-	2.7
4	ფორიანობა	n	%	45.8
5	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0.844
6	ტენიანობა	w	%	25.0
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	w_L	ერთ. ნაწ.	35.6
8	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	w_P	-“-	22.7
9	პლასტიკურობის რიცხვი	J_P	-“-	12.9
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	-“-	0.18
11	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	22
12	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კპა	23
13	დეფორმაციის მოდული	E_0	მპა	15
14	საანგარიშო წინაღობა	R_0	კპა	210
15	პუასონის კოეფიციენტი	μ	-	0.38

9. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით (პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა), საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება **8 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას,** 0.17 უგანზომილებო კოეფიციენტით;

10. ქარის მაქსიმალური სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ შეადგენს 33 მ/წ-ს;

11. ს.ნ. და წ. IV-5-82- ის, 1.1 ცხრილის თანახმად, გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნებიან:

1. **ფენა 1 -** ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავების **III კატეგორია,**
2. **ფენა 2 -** ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავების, **II კატეგორია,**

12. ქვაბულის ფერდოების დახრის დასაშვები სიდიდე, უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებული იქნას ს.ნ და წ. 3.02.01.87 პ.პ. 3.11; 3.12; 3.15 და ს.ნ და წ. III-4-80, მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

13. ჩატარებული კვლევების და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით სამშენებლო მოედანზე, პროექტით გათვალისწინებული შენობების მშენებლობა ცალსახად შესაძლებელია.

დასკვნა შეადგინა:

ინჟინერ-გეოლოგი, ზ. ურუშაძე **ზ. ურუშაძე**

დანართები:

1. გენგეგმა სამთო გამონამუშევრების განლაგების სქემით
2. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები (3ფურც.)
3. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები (1ფურც.)
4. ლაბორატორიული კვლევის შედეგები
5. ანგარიშის ელექტრონული ვერსია

1. გენგეგმა გამონამუშევრების და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილის ხაზების დატანით



2. სამთო გამონამუშევრის ლითოლოგიური სვეტები.

შურფი N1

H-425.60

გეოლოგიური ინდექსი	ფენის N°	გრუნტის დასახელება	სიღრმე, მ		ფენის სიმძლავრე, მ	ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი	ნიმუშის აღების სიღრმე მ.	მიწისქვეშა წყლის დონე მ.
			დან	მდე					
tQ_{IV}	1	ტექნოგენური ფენა	0.00	1.00	1.00	424.60			
dQ_{IV}	2	მოყვითალო-ყავისფერი თიხნარი, ნახევრად მყარი	1.00	5.90	4.90	419.70		1.20 5.10	

პირობითი აღნიშვნები

1 ტექნოგენური გრუნტი

2 მოყვითალო-ყავისფერი თიხნარი, ნახევრად მყარი

შეკავშირებული ნიმუშის აღების წერტილი

ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩა N36 (ს/კ 01.11.19.004.036) საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში			სტადია
გეოლოგიურ-ლითოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი			მ.დ
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	
გეოლოგი	ურუშაძე		
გეოლოგი			

შურფი N2

H-425.68

გეოლოგიური ინდექსი	ფენის N°	გრუნტის დასახელება	სიღრმე, მ		ფენის სიმძლავრე, მ	ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი	ნიმუშის აღების სიღრმე მ.	მიწისქვეშა წყლის დონე მ.
			დან	მდე					
tQ_{IV}	1	ტექნოგენური ფენა	0.00	0.80	0.80	427.88			
dQ_{IV}	2	მოყვითალო-ყავისფერი თიხნარი, ნახევრად მყარი	0.80	6.00	5.20	422.68		1.80 4.70	

პირობითი აღნიშვნები

1 ტექნოგენური გრუნტი

2 მოყვითალო-ყავისფერი თიხნარი, ნახევრად მყარი

■ შეკავშირებული ნიმუშის აღების წერტილი

ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩა N36 (ს/კ 01.11.19.004.036) საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში			სტადია
გეოლოგიურ-ლითოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი			მ.დ
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	
გეოლოგი	ურუშაძე		
გეოლოგი			

შურფი N3

H-425.75

გეოლოგიური ინდექსი	ფენის N°	გრუნტის დასახელება	სიღრმე, მ		ფენის სიმძლავრე, მ	ფენის ძირის ნიშნული	ჭრილი	ნიმუშის აღების სიღრმე მ.	მიწისქვეშა წყლის დონე მ.
			დან	მდე					
tQ_{IV}	1	ტექნოგენური ფენა	0.00	0.70	0.70	425.05			
dQ_{IV}	2	მოყვითალო-ყავისფერი თიხნარი, ნახევრად მყარი	0.70	6.00	5.30	419.75		1.10 4.20	

პირობითი აღნიშვნები

1 ტექნოგენური გრუნტი

2 მოყვითალო-ყავისფერი თიხნარი, ნახევრად მყარი

■ შეკავშირებული ნიმუშის აღების წერტილი

ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩა N36 (ს/კ 01.11.19.004.036) საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში			სტადია
გეოლოგიურ-ლითოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი			მ.დ
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	
გეოლოგი	ურუმაძე		
გეოლოგი			

3. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი I-I

მასშტაბი 1:100



გამონამუშევარი	შ-1	შ-2	შ-3
აბს. ნიშნული, მ	425.60	425.68	425.75
მანძილი, მ		10.40	13.38

პირობითი აღნიშვნები

1 ტექნოგენური გრუნტი

2 მოყვითალო-ყავისფერი თიხნარი, ნახევრად მყარი

I საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტის ნომერი

ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩა N36 (ს/კ 01.11.19.004.036) საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში			სტადია
გეოლოგიურ-ლითოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი			მ.დ
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	
გეოლოგი	ურუშაძე		
გეოლოგი			

შპს „აბსოლუტ სერვისი“

მისამართი: ხერგიანისქ#37
TEL:+995 32 257 48 82
email: infoabsoluteservice@gmail.com

სსტ ისო/იეკ 17025:2010
GAC-TL-0251

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი: GAC-TL-0251 მოქმედების ვადა: 7 თებერვალი, 2023

საგამოცდო ოქმი 2529

გრუნტები და ღორღოვანი საფუძვლები

გაცემის თარიღი: “13” მაისი 2020 წ

დამკვეთი:- ი.მ ურუშაძე ზურაბი

პროდუქტის დასახელება: - თიხნარი ნახევრად მყარი

ობიექტის დასახელება: ქ.თბილისი ფეიქრების ქუჩა #36 ორსართულიანი შენობა

განაცხადი:-000200

ნიმუშის ამღები მხარე: -ი.მ ურუშაძე ზურაბი

პროდუქტის მწარმოებელი: -

ნიმუშის აღების თარიღი: -08.05.2020

ლაბორატორიაში ნიმუშის მიღების თარიღი: -09.05.2020

გამოცდის ჩატარების თარიღი:- 13.05.2020

ნორმატიული დოკუმენტის დასახელება, რის მიხედვითაც ტარდება გამოცდა:

BS 1377-2:1990 - სამოქალაქო მშენებლობისათვის განკუთვნილი გრუნტების გამოცდის მეთოდები - საკლასიფიკაციო ტესტირება პ. 9.5.

ISO/TS 17892-1:2014 - გეოტექნიკური კვლევა და გამოცდა - გრუნტის ლაბორატორიული გამოცდა - წყლის შემცველობის განსაზღვრა

ISO/TS 17892-2:2014- გეოტექნიკური კვლევა და გამოცდა - გრუნტის ლაბორატორიული გამოცდა - გრუნტის მოცულობითი სიმკვრივის განსაზღვრა

ISO/TS 17892-3:2015 - გეოტექნიკური კვლევა და გამოცდა - გრუნტის ლაბორატორიული გამოცდა - ნაწილაკების სიმკვრივის განსაზღვრა

ISO/TS 17892-12:2004 -გეოტექნიკური კვლევა და გამოცდა- გრუნტის ლაბორატორიული გამოცდა - ატერბერგის ზღვრების განსაზღვრა;

გრანულომეტრიული შედგენილობა

საცრის ზომა მმ.	63,0	50,0	37,5	28,0	20,0	14,0	10,0	6,3	5,0	3,35	2,36	2,0	1,18	0,6	0,425	0,300	0,212	0,150	0.063	< 0.063
კერძო ნარჩენი საცერზე, %														0.3	0.3	0.7	1.9	5.7	4.4	86.7

№	შურფი	ნიმუშის აღების ინტერვალი	განსასაზღვრი პარამეტრები	განზომილება	გამოვლის შედეგები	გამოყენებული სტანდარტის დასახელება
1	2	1.2	სიმკვრივე	გრ/სმ³	1.83	ISO/TS 17892-2:2004
2	2	1.2	მინერალური ნაწილის სიმკვრივე	გრ/სმ³	2.70	ISO/TS 17892-3:2004
3	2	1.2	პლასტიურობა	%	W_L=35.6 W_P =22.7 I_P = 12.9 I_L =0.18	ISO/TS 17892-12 :2004 გოსტი 5180-84
4			შეკლება	%		BS 1377-2:1990 პ6.5
5			მაქსიმალური სიმკვრივისა და ოპტიმალური ტენიანობა	გრ/სმ³ %		BS 1377-4:1990 პ.3 BS EN 13286-2:2012 ASTM D1557 – 12
6			მზიდუნარიანობის კალიფორნიული მაჩვენებლი (CBR)	%		BS EN 13286-47:2012 ASTM D 1883-2007 BS 1377-4:1990
7			გაჯირჯვება	--------		გოსტი 24143-80

8	2	1.2	სიმტკიცის მახასიათებლები:ჭრისადმი წინაღობა , შიდა ხახუნის კუთხე, ხვედრითი შეჭიდულობა	გრად უსი, კგძ/სმ 2	**22** **0.23**	BS 1377-7:1990 პ.4
9			გამოცდა კომპრესიაზე	MPa		ISO/TS 17892-5:2004 BS 1377-5:1990
10			გამოცდა სამღერძა კუმშვაზე	გრად უსი, MPa		BS 1377-7:1990 BS 1377-8:1990 ASTM D2850-03a
11			ჯდომადობა	--------		გოსტი 23161-78
12			სიმკვრივე, ცილინდრისა და ბალონის მეთოდით	გრ/სმ^3		ASTM D 1556-15
13	2	1.2	ტენიანობა	%	25.0	ISO/TS 17892-1:2004
14			სიმტკიცე კუმშვაზე	MPa		BS EN 13286-41:2003
15			არაპირდაპირი სიმტკიცე კუმშვაზე	MPa		BS EN 13286-42-2003
16			კლდოვანი გრუნტის სიმტკიცე კუმშვაზე, დრეკადობის მოდული	MPa		ASTM D7012-14 პ10.1
17			კლდოვანი გრუნტის სიმტკიცე კუმშვაზე, დრეკადობის მოდული	MPa		ASTM D7012-14 პ10.2
18			სიმტკიცე კუმშვაზე წერტილოვანი მეთოდით	MPa		გოსტი 24941-81

საგამოცდო ლაბორატორიის ხელმძღვანელი: თ. სულაძე

შემსრულებელი: თ. ჩაჩანიძე

გრუნტების ლაბორატორიული კვლევის კრებსითი ცხრილი (ფეიქრები)

#	შურფი #	ნიმუშის ალების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ							ზუნებრივი ტენიანობა, W %	პლასტიკურობა			დენადობის მაჩვენებელი, I_L	სიმკვრივე, გრ/სმ^3			ფორიანობა, n %	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობის ხარისხი, S_z	შიგა ხახუნის კუთხე, φ გრად.	ხვედრითი შეჭიდულობა, C კგძ/სმ^2	დეფორმაციის მოდული, E კგძ/სმ^2	R_0	გრუნტის აღწერა
			> 0.600	0.600-0.425	0.425-0.300	0.300-0.212	0.212-0.150	0.150-0.063	< 0,063		ზედა ზღვარი, W_L %	ქვედა ზღვარი, W_p %	პლასტიკურობის რიცხვი, I_p		მინერალური ნაწილაკების, ρ_s	ზუნებრივი, ρ	ჩონჩხის, ρ_d								
1	2	1.2	0.3	0.3	0.7	1.9	5.7	4.4	86.7	25.0	35.6	22.7	12.9	0.18	2.70	1.83	1.46	45.8	0.844	0.800	22	0.23	150	2.1	თიხნარი ნახევრად მყარი

ნორმატიული დოკუმენტის დასახელება, რის მიხედვითაც ტარდება გამოცდები:

BS 1377-2:1990 - სამოქალაქო მშენებლობისათვის განკუთვნილი გრუნტების გამოცდის მეთოდები - საკლასიფიკაციო ტესტირება პ. 9.5.

ISO/TS 17892-1:2014 - გეოტექნიკური კვლევა და გამოცდა - გრუნტის ლაბორატორიული გამოცდა - წყლის შემცველობის განსაზღვრა

ISO/TS 17892-2:2014- გეოტექნიკური კვლევა და გამოცდა - გრუნტის ლაბორატორიული გამოცდა - გრუნტის მოცულობითი სიმკვრივის განსაზღვრა

ISO/TS 17892-3:2015 - გეოტექნიკური კვლევა და გამოცდა - გრუნტის ლაბორატორიული გამოცდა - ნაწილაკების სიმკვრივის განსაზღვრა

ISO/TS 17892-12:2004 -გეოტექნიკური კვლევა და გამოცდა- გრუნტის ლაბორატორიული გამოცდა - ატერბერგის ზღვრების განსაზღვრა;

ლიტერატურის სია

1. ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 1. გამომცემლობა „მეცნიერება", 1969, თბილისი.
2. ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 2. გამომცემლობა „მეცნიერება", 1970, თბილისი.
3. პნ 01.05-08 დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია". საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743, 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი.
4. პნ 02.01-08 სამშენებლო ნორმების და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები". საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1924, 2008 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი.
5. პნ 01.01-09 სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა". საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი.
6. СНиП-IV-5-82 Сборники элементных сметных норм на строительные конструкции и работы (გრუნტის კატეგორია ბურღვა-აფეთქების მიხედვით).
7. СНиП-2,02,01-83* Строительные нормы и правилаю Основания зданий и Сооружений.
8. ГОСТ 12071-84 Грунты. Отбор, упаковка, транспортирование и хранение образцов.
9. СНиП 1.02.07-87 ИНЖЕНЕРНЫЕ ИЗЫСКАНИЯ ДЛЯ СТРОИТЕЛЬСТВА.
10. ГОСТ 25100-82 Грунты, классификация.
11. ГОСТ 25100-95 Грунты, классификация.
12. СНБ 5.01.01-99 Основания и фундаменты зданий и сооружений.
13. СП 11-105-97 Система нормативных документов в строительстве, свод правил по инженерным изысканиям для строительства, инженерно-геологические изыскания для строительства.

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: "ქ.თბილისში, ფეიქრების ქუჩა №36-ში ორსართულიანი შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის (ს/კ 01.11.19.004.036) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"

კერძო პირის, იოსებ ჟღენტის თხოვნით, ჩვენს მიერ 2020 წლის მაისში შემოწმებული იქნა ქ.თბილისში, ფეიქრების ქუჩა №36-ში ორსართულიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე (ს/კ 01.11.19.004.036) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ.თბილისში, ფეიქრების ქუჩა №36-ში ორსართულიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე (ს/კ 01.11.19.004.036) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ი.მ. "ზურაბ ურუშაძე"-ს მიერ 2020 წლის მაისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ გეოლოგი ზ. ურუშაძე. მის მიერ შესწავლილია გამოსაკვლევი უბანი, დამუშავებულია არსებული ფონდური მასალა და წყაროები. მშენებლობისთვის გამოყოფილ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესრულებულია სარეკოგნოსცირო სამუშაოები. დეტალურაა დათვალიერებული გვერდით არსებული შენობები, რომლებზეც არანაირი დეფორმაციის კვალი არ შეინიშნება. გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა შესრულებულია შპს "აბსოლუტ სერვისი"-ში, სამუშაოების შემსრულებელი თ. ჩაჩანიძე.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 13 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური კვლევის შედეგები..... 4 გვ;
4. მოედნის ტოპოგეგმა გამონამუშევრების დატანით..... 1 ფურც;
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 3 ფურც;

6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი..... 1 ფურც;
7. მიმოხილვითი რუკა ..... 1 ფურც.

სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩის №36-ში. ნაკვეთი 425.60-425.80 მეტრ აბსოლუტური ნიშნულის ფარგლებშია. საკვლევი ტერიტორიის ცენტრალური ნაწილის კორდინატებია (WGS-84-ის მიხედვით): X-482718, Y-4625428. პროექტით ასაშენებელია ორსართულიანი შენობა. სამშენებლო ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 200მ^2-ია. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ექსკავატორით გაყვანილი იქნა 3 შურფი, საერთო სიღრმით 17.90 გრძ. მეტრი. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად გამონამუშევრებიდან აღებული იქნა შეკავშირებული გრუნტების 5 ნიმუში, აქედან შერჩეული ნიმუშები გამოკვლეული იქნა შპს „აბსოლუტ სერვისის“-ს ლაბორატორიაში.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად, მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ტექნოგენური ფენა (tQ_{IV}), მისი სიმძლავრე 0,00–0.90 მ-ის ფარგლებშია;
2. ფენა 2 – პირველი ფენის ქვეშ, მთლიან ნაკვეთზე, გამოკვლეულ 6.00 მეტრ სიღრმემდე გავრცელებულია მოყვითალო-ყავისფერი თიხნარები, ნახევრად მყარი (dQ_{IV}).

უბნის ამგები გრუნტებიდან სგე-ად განიხილება 1 ელემენტი:

I სგე – მოყვითალო-ყავისფერი თიხნარები, ნახევრად მყარი (dQ_{IV}) (ფენა 2);

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

1. გრუნტის სიმკვრივე 1.83 გრ/სმ^3
2. ტენიანობა 25%
3. პლასტიკურობის რიცხვი 12.9
4. დენადობის მაჩვენებელი 0.18
5. შიგა ხახუნის კუთხე 22^0
6. ხვედრითი შეჭიდულობა 23კპა
7. დეფორმაციის მოდული 15მპა
8. საანგარიშო წინაღობა Ro=221 კპა
9. პუასონის კოეფიციენტი 0.38

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, კლიმატური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ფენების დახასიათება, ასევე ფუძის ანგარიშისათვის აუცილებელი ყველა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო და ნორმატიული მნიშვნელობანი, მიღებული ლაბორატორიული მონაცემების, ნორმატიული დოკუმენტების და საცნობარო ლიტერატურის გამოყენებით. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას შენობის ფუძე-გრუნტისა და საძირკვლის შერჩევის თაობაზე.

ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მოიცავს თბილისის ქვაბულის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირს. ტერიტორიაზე გავრცელებულია იარუსებად განლაგებული ტერასული საფეხურები. რელიეფი ტიპიური აკუმულაციურია, ზედნადები ეროზიული და ანტროპოგენული ფორმებით. პირველი შედარებით სუსტადაა გამოხატული, ხოლო მეორე ფართოდ და მასშტაბურად. მდ. მტკვრის ხეობის ეს მონაკვეთი, ჭალის ტერასული ზედაპირის პირვანდელი ბუნებრივი იერსახე და მის გარშემო მდებარე ტერიტორია მთლიანად შეცვლილია ანთროპოგენული რელიეფის ფორმებით. აქ ზედაპირი მთლიანად არის ათვისებული. ნაკვეთი წარმოადგენს მოსწორებულ ზედაპირს 425.60-425.80 აბსოლუტურ ნიშნულებს შორის, სწორხაზოვანი განივი და გასწვრივი პროფილებით. მისი ზედაპირი ერთიანი და დაუნაწევრებელია.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ საკვლევ ნაკვეთზე და მის მიმდებარედ, მიწისქვეშა წყლების გამოსავლები ზედაპირზე არ დაფიქსირებულა, მიწისქვეშა წყლები არ შემოსულა არცერთ გამონამუშევარში, შესაბამისად მიწისქვეშა წყლები რაიმე სახის ხელისშემშლელ პირობას, მშენებლობისათვის არ წარმოადგენენ.

საკვლევ უბანზე რაიმე ტიპის გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენა, ან პროცესი არ ფიქსირდება. საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ნაგებობის მშენებლობას და მის შემდგომ ექსპლოატაციას, მოსალოდნელი არ არის.

ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუქისა 8 (რვა) ბალია. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,17.

დასკვნა

ქ.თბილისში, ფეიქრების ქუჩა №36-ში ორსართულიანი შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე (ს/კ 01.11.19.004.036) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ

სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,პროფესორი: /ია მშვიდობაძე/

შპს „ოპტიმუსი“

ქ.თბილისი, ფეიქრების ქ.N36 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.11.19.004.036) შენობა N01/1, N02/1 და /03/1-ის სადემონტაჟო სამუშაოების მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგანლენის კვლევის ანგარიში

თბილისი

2020 წ.

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"
სამშენებლო ექსპერტიზა, პროექტირება, მშენებლობა.

ქ.თბილისი 30 ოქტომბერი 2020 წ.

ქ.თბილისი, ფეიქრების ქ.N36 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.11.19.004.036) შენობა N01/1, N02/1, /03/1-ის სადემონტაჟო სამუშაოების მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგანლენის კვლევის ანგარიში

ობიექტის მისამართი - ქ.თბილისი, ფეიქრების ქ.N36 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.11.19.004.036)

ობიექტის სტატუსი/ფუნქციური დანიშნულება - საპროექტო (სადემონტაჟო)/სასაწყობე შენობები;

ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - II კლასი;

ექსპერტიზის სახე - საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა;

ექსპერტიზის დამნიშნავი - ფიზიკური/იურიდიული პირი – შპს „სამთა" ს/კ 204896899;

შემსრულებელი ექსპერტი – გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251) შპს „ოპტიმუსი"-ს (ს/კ 404420998) დირექტორი, ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი. საინჟინრო ექსპერტიზის სფეროში მუშაობის გამოცდილება 10 წელი (2010 წლიდან), სამშენებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება - 35 წელი (1985 წლიდან).

ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები – ქ.თბილისი, ფეიქრების ქ.N36 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.11.19.004.036) მდებარე სასაწყობე დანიშნულების შენობა N01/1, N02/1 და N03/1 -ის სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდში შესაძლო ზეგავლენის ხარისხის შესწავლა მომიჯნავედ მდებარე შენობა-ნაგებობებზე და შესაბამისი დასკვნის მომზადება;

ექპერტიზაზე წარმოდგენილი ან/და ექსპერტის მიერ მოძიებული დოკუმენტაცია - 1) დემონტაჟის პროექტი, 2) მიწის ნკავეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 3)მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა; მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე გაცემული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საექსპერტო შეფასებები;

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

გამოყენებული ნორმატიული აქტები და სხვა სახელმძღვანელო ლიტერატურა:

1) სნ და წ. პნ 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"
2) სნ და წ. პნ 02.01.-08 "შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები"
3) СНиП 2.02.01-83 Основания зданий и сооружений;
4) საქართველოს მთავრობის დადგენილება - №255 31.04.2019 წ.

კვლევა – ჩემს მიერ ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა აღნიშნულ მისამართზე მდებარე ნაგებობის სადემონტაჟო სამუშოების ჩატარების მიზანშეწონილობას, ამასთან გადამოწმდა მომიჯნავე და საპროექტო მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა სამშენებლო სამუშაოების პერიოდში, მათზე რაიმე სახის ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მოსწორებული რელიეფის მქონე ზედაპირს, მიწის ნაკვეთს უშუალო მომიჯნავე მიწის ნაკვეთები მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით სამი მხრიდან - დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება. მეოთხე-აღმოსავლეთის მხრიდან მისი მოსაზღვრეა საზოგადოებრივი სივრცე - ფეიქრების ქუჩა.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე, დღეის მდგომარეობით მდებარეობს მიმდინარე საუკუნის 10-იან წლებში აშენებული შენობები, რომელიც თვისობრივი კონსტრუქციული წყობით მიეკუთვნება მზიდკედლებიან ტიპს. ისინი გეგმაში მართკუთხა კონფიგურაცის შენობებია.

მათი დემონტაჟი იგეგმება მუშა-ხელის დახმარერბით, საშუალო სიმძლავრის ტექნიკის მეშვეობით და ხელით.

შენობები განთავსებულია მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში უფრო ქუჩის გასწვრივ, გამომდინარე აქედან მომიჯნავე საკადასტრო საზღვრებამდე ოთხივე მიმართულებით საკმაო სივრცეებია დარჩენილი, რაც ზოგადად აიოლებს, როგორც სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას, ასევე გამორიცხავს მომიჯნავე შენობებზე რაიმ სახის ზეგავლენის მოხდენას.

ჩემს მიერ, საპროექტო ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთებისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების განხილვა მოხდა განცალკევებით. კერძოდ:

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.11.19.004.035 – მიწის ნაკვეთზე მდებარეობს გასული საუკუნის 80-იან წლებში აშენებული სავაჭრო/საოფისე ფუნქციის შენობები სამსართულიანი (N04/3) და ორსართულიანი N01/2, რომლების მზიდი კარკასი წარმოადგენს რკ/ბეტონის ანაკრებ კონსტრუქციებს. არსებულ და სადემონტაჟო შენობას შორის ყველაზე მცირე 7,00-8,00 მეტრამდეა, რაც გამორიცხავს სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდში მათზე, რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენას.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.11.19.004.018 - მასზე განთავსებულია ერთსართულიანი შენობა, რომლამდე მანძილიც 17,00-18,00 მეტრამდეა, ამიტომ მასზე რაიმე სახის ზემოქმედებას

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

გამოვრიცხავ. ასეთი მანძილზე რაიმე სახის ზემოქმედების ხარისხი შეიძლება ითქვას, რომ ნულის ტოლია.

ჩემს მიერ დათვალიერება ჩაუტარდა საპროექტო მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა N04/1, რომელიც წარმოადგენს ცალკე მდგომ ლითონ-კონსტრუქციით აწყობილ ჯიხურის ტიპის ნაგებობას. ვინაიდან სადემონტაჟო სამუსაოები ტარდება ხელით, მასზე უარყოფითი ზეგავლენის საშიშროება არ არსებობს.

აღმოსავლეთისს მხრიდან მიწის ნაკვეთს ემიჯნება ფეიქრების ქუჩის სავალი ნაწილი, სადემონტაჟო შენობიდან გზამდე დაშორება 8,00-9,00 მეტრის ფარგლებში მერყეობს, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენას.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

დასკვნა - ქ.თბილისი, ფეიქრების ქ.N36 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.11.19.004.036) მდებარე სასაწყობე დანიშნულების შენობა N01/1, N02/1 და N03/1 -ის სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება მიზანშეწონილად მიმაჩნია. დაგეგმილი სამუშაოების ლოკაციის მომიჯნავედ მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობებზე, მათი სადემონტაჟო არეალიდან საკმაო უსაფრთხო მანძილზე მდებარეობის გამო, უარყოფით ზეგავლენა ფაქტობრივად ნულამდეა დაყვანილი. ასევე შემიძლია ვთქვა, რომ მიწის ნაკვეთი მდგრადი გეომორფოლოგიური შემადგენლობისაა და რაიმე სახის სპეციალური ღონისძიებების გატარებას დემონტაჟის პერიოდში არ საჭიროებს. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებას ცალსახად დადებით რეკომენდაციას ვაძლევ.

შპს „ოპტიმუსი“-ს

დირექტორი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი

გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

საქართველოს რესპუბლიკა

დიპლომი № 010494



მიეცა გაიოზ გიორგის ძე
ჭანკვეტაძეს

მასზე, რომ ის 19 82 წელს შეიცდა საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტში

და 1994 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური
ინსტიტუტის სრული კურსი
საინჟინრო და საშოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის
16 ივნისის გადაწყვეტილებით
გ.გ. ჭანკვეტაძეს მიენიჭა ინჟინერ
მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე [signature]

რექტორი [signature]

მდივანი [signature]

ქალაქი თბილისი, 1994წ. 16 ივნ

სარეგისტრაციო № 1477

CURRICULUM VITAE

სახელი, გვარი:	**გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251);**
დაბედების ადგილი/თარიღი:	ქ.თბილისი 07.12.1968 წ.
მისამართი:	ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№1;
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული;
ტელ:	+995 595 90 22 25; +995 557 90 22 00;
E-mail	g.chankvetadze@gmail.com

განათლება

1974-1985 ქ.თბილისის 1-ლი საშ.სკოლა;
1986-1994 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ფაკულტეტი - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; კვალიფიკაცია-მშენებელი ინჟინერი;

1999-2003 უნივერსიტეტი -„ლეგია და კომპანია“ იურიდიული ფაკულტეტი. კვალიფიკაცია - იურისტი;

სამუშაო გამოცდილება:

1985-1987 №5-ე სახლმშენებელი კომბინატი 3-ე თანრიგის მუშა-მაბეტონე;

1987-1989 ყოფილი საბჭოთა კავშირის არმია, საინჟინრო ჯარები;

1989-1991 სამშენებლო ტრესტი „ინჟმშენი“ 3-ე თანრიგის მუშა-მაბეტონე;

1991-1994 მრავალდარგოვანი საწარმო „პემ“-ი სამშენებლო უბნის უფროსი;

1995-1999 შპს „დარბაზნი“კონსტრუქტორთა ჯგუფის უფროსი;

1999-2002 ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია. მთავარი სპეციალისტი;

2003-2005 ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს უფროსი.

2005-2008 კერძო ბიზნესი - სამშენებლო-საპროექტო სფერო.

2006-2008 ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური - არქიტექტურული და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილება. მთავარი სპეციალისტი;

2009 წლის იანვარი-მარტი - ქ.თბილისის, მერიის სამოქალაქო ინტეგრაციის (თბილისის კორპუსი) საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

2009 წლის მარტი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის, მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

2009 წლის მარტი - სექტემბერი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

2010 წლის მარტი - ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს სსიპ „თბილისი უძრავი ქონება“ - დირექტორი;

2009-2012 შენობა-ნაგებობების დიაგნოსტიკის ცენტრი შპს „კრუგი“-ს მენეჯერი - ექსპერტი შენობა-ნაგებობათა დიაგნოსტიკის განხრით;

2012წ დღემდე საპროექტო-სამშენებლო-საექსპერტო კომპანია შპს„ოპტიმუსი“-ს დამფუძნებელი, დირექტორი;

2010 წლიდან - დღემდე, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დაკვეთებით შესწავლილი მაქვს 900 ერთეულამდე ავარიული ან/და სარეკონსტრუქციო 1-ლი, მე-2 , მე-3 და მე-4 კლასის შენობა-ნაგებობა, რაზედაც გაცემულია შესაბამისი ტექნიკური, საექსპერტო დასკვნები და რეკომენდაციები. ამასთან თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კომპანია შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ დაპროექტებულ 800-ზე მეტი 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კლასის შენობების არქიტექტურული პროექტებისთვის მომზადებული მაქვს კონსტრუქციული ნაწილები.

თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაცემულია რამოდენიმე ასეული დასკვნა სადემონტაჟო, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვ. სამუშაოების მიმდებარე შენობებზე ზემოქმედებასა და მე-4 კლასის შენობებისთვის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა კონსტრუქციული სისტემის საექსპერტო შეფასების შესახებ.

ჩემს მიერ, თბილისში მომზადებულია რამოდენიმე ათეული მე-4 კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი და მრავალფუნქციური შენობების, კომპლექსების, სახელმწიფო უწყების შენობებისთვის პროექტის კონსტრუქციული ნაწილები.


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
გაიოზი
GAIOZ
გვარი / LAST NAME
ჭანკვეტაძე
CHANKVETADZE
ქვეყ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
01017024251
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
07.12.1968
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
07.06.2026
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
15IB72448


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
07.06.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2015
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE015IB72448801017024251<<<<
6812078M2606071GE0<<<<<<<<<<<9
CHANKVETADZE<<GAIOZ<<<<<<<<<<<

საწყობი ფეიქრებისს ქუჩაზე

კონსტრუქციული ნაწილი



მუშა პროექტი

თბილისი 2020

მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ნახაზების უწყისი

№	ნახაზების დასახელება	№ჯ
	საწყისი მონაცემები	
1	მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ნახაზების უწყისი	01
2	განმარტებითი ბარათი. ზოგადი მითითებები	02
3	საძირკვლის კონსტრუქციების საყალიბე გეგმა -1.50 ნიშნულზე	03
4	გალახურვის კონსტრუქციების საყალიბე გეგმა -1.50 ნიშნულზე	04
5	გალახურვის კონსტრუქციების საყალიბე გეგმა -1.50 ნიშნულზე	05
6	გალახურვის კონსტრუქციების საყალიბე გეგმა -1.50 ნიშნულზე	06
7	მრ. რ/ბ წერტილოვანი საძირკვლის წს–1-ის არმირება	07
8	მრ. რ/ბ სვეტის სგ–1-ის არმირება	08
9	მრ. რ/ბ სვეტის სგ–2-ის არმირება	09
10	მრ. რ/ბ სვეტის სგ–3-ის არმირება	10
11	მრ. რ/ბ რიგელების მრ–1 და მრ–2-ის არმირება	11
12	მრ. რ/ბ რიგელის მრ–3-ის არმირება	12
13	მრ. რ/ბ რიგელის მრ–4-ის არმირება	13
14	მრ. რ/ბ რიგელების მრ–5 და მრ–6-ის არმირება	14
15	მრ. რ/ბ რიგელის არმატურის გალალებით გადაბმის და სვეტში ჩამაგრების დეტალები	15
16	მრ. რ/ბ გალახურვის ფილის არმირება 0.00 ნიშნულზე	16
17	მრ. რ/ბ გალახურვის ფილის არმირება 3.20 ნიშნულზე	17
18	მრ. რ/ბ გალახურვის ფილის არმირება 6.40 ნიშნულზე	18
19	მრ. რ/ბ გალახურვის ფილების არმირების კვეთები და სპეციფიკაციები	19
20	მასალის ამოკრება	20

CAPITELI GROUP

კაპიტელი ჯგუფი
საპროექტო კომპანია
Capiteli group
ENGINEERING COMPANY

პროექტის დასახელება

საწყობის პროექტი

პროექტის მისამართი

ფეიქრების ქუჩა

დამკვეთი

სტადია	მარილი	განმარტება
მჯ	2020.05.29	

დაკვეთის №

CAD DWG ფაილი konstruqciebi.dwg

დირექტორი:		ა. კორტავა
მთ. კონსტრუქტორი:		ა. კორტავა
შეასრულა		ა. ღონღაძე
შეამოწმა		ა. კორტავა

საავტორო უფლებები კაპიტელი ჯგუფი

ნახაზის დასახელება

მუშა პროექტის
კონსტრუქციული ნაწილის
ნახაზების უწყისი

კ-01

A3

საძირკვლის კონსტრუქციების საყალიბე გეგმა -1.50 ნიშნულზე



CAPITELI GROUP

კაპიტელი ჯგუფი
საპროექტო კომპანია
Capiteli group
ENGINEERING COMPANY

პროექტის დასახელება

საწყობის პროექტი

პროექტის მისამართი

ფეიქრების ქუჩა

დამკვეთი

სტადია	მარილი	განმარტება
მპ	2020.05.29	

დაკვეთის №

CAD DWG ფაილი konstruqciebi.dwg

დირექტორი:	ა. კორტავა
მთ. კონსტრუქტორი:	ა. კორტავა
შეასრულა	ა. ღონღაძე
შეამოწმა	ა. კორტავა

საავტორო უფლებები კაპიტელი ჯგუფი

ნახაზის დასახელება

საძირკვლის კონსტრუქციების საყალიბე გეგმა -1.50 ნიშნულზე

კ-03

A3

გადახურვის კონსტრუქციების საყალიბე გეგმა 0.00 ნიშნულზე



CAPITELI GROUP

კაპიტელი ჯგუფი
საპროექტო კომპანია
Capiteli group
ENGINEERING COMPANY

პროექტის დასახელება
საწყობის პროექტი

პროექტის მისამართი
ფეიქრების ქუჩა

დამკვეთი

სტადია	მარილი	განმარტება
მპ	2020.05.29	

დაკვეთის №

CAD DWG ფაილი konstruqciebi.dwg

დირექტორი:		ა. კორტავა
მთ. კონსტრუქტორი:		ა. კორტავა
შეასრულა		ა. ღონღაძე
შეამოწმა		ა. კორტავა

საავტორო უფლებები კაპიტელი ჯგუფი

ნახაზის დასახელება

გადახურვის კონსტრუქციების საყალიბე გეგმა 0.00 ნიშნულზე

კ-04

A3

